„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе

გაზეთი ღირ[ს]

| თთვე | მან. კ. | თთვე | |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1892

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

**საქართველოს**

**გეოგრაფია**

1 წიგნი

**სამცხე**

ვახუშტის საზოგადო ,,შესავალი‘‘-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

კვირას, 7 თიბათვეს,

დილის 11 საათზედა დანიშნულია ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში ქართულის დრამატიულის საზოგადოების საგანგებო კრების

გაგრძელება

განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში და 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება (3—3)

13 ივნისს, შაბათს,

საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

2) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

3) გამგეობის წევრთა არჩევანი.

4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—2)

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ საღამოს საგანგებო კრება მოხდა ტფილისის საქალაქო საბჭოსი. კრებამ განიხილა სასანიტარო კომისიისა და გამგეობის მოხსენება ხოლერასთან ბრძოლის შესახებ. მოხსენება შეწყნარებულ იქმნა. ქალაქმა 46,300 მანათი გადასდო ამ საქმისათვის. მიწვეული იქნება 11 მკურნალი და ამოდენივე ფერშალი. სულ 11 სასანიტარო დასი შესდგება. თითოეულს მათგანს მიენდობა თითო განყოფილება ტფილისისა, ხოლო ერთს ჩაჰბარდება ქალაქის მიდამოების თვალ-ყურის გდება.

*** მეშედში ხოლერა კიდევ მძვინვარებს. ოთხშაბათს კიდევ ას სამოცდა-თხუთმეტი კაცი მომკვდარა. ასტრაბადში ხოლერას თხუთმეტამდე კაცი უმსხვერპლია. ამ ოთხის დღის განმავლობაში ხოლერით ავად არავინ არ გამხდარა. ენზელშიაც მოსპობილა ხოლერა.

იმიერ-კასპიის მხარეში საქმე ასეა: უზუნადაში ჯერ აღარავინ არ გამხდარა ავად. სამარყანდშიაც აგრეთვე. მაგრამ ამავე დროს ქ. კაახკაში-კი ხოლერა გავრცელებულა. აქ ორის დღის განმავლობაში ავად გამხდარა ოთხმოცამდე კაცი; მათ შორის ოც-და-ხუთი მომკვდარა. ამ თთვის 4-სა კაახკაში სადეზინფექციო წამლები შემოჰკლებიათ და იქაური ადმინისტრაცია სთხოვს თურმე ამ წამლების მიშველებას.

*** ჩვენ მოგვივიდა მე-6 ნომერი ჟურნალისა ,,Вѣстникъ Винодѣлія‘‘. ამ ნომერში დაბეჭდილია სხვათა შორის შემდეგი ჩვენთვის საინტერესო წერილები: ,,როგორ აჰქარდეს გაშენება ფილოქსერისაგან გაფუჭებულ ვენახებისა, ბარონ ა. ბაბოსი, ,,ეხლანდელი მდგომარეობა და საჭიროება ღვინის კეთებისა ერევანში‘‘, ,,რუსეთის მწერლობა ყურძნისა და ღვინის შესახებ‘‘, მდგომარეობა ღვინის-კეთების საქმისა ამიერ კავკასიაში 1891 წელს.

*** განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომელიც უუმაღლესად დაარსებულ იქმნა მოუსავლობისა გამო დაზარალებულ გლეხთათვის, აცნობა ჩვენს ადმინისტრაციას, რომ ამ ჟამად მოსავალი რუსეთში კარგიაო. ამასთანავე კომიტეტს იმდენი ფული აქვს, რომ გლეხებს, სინამ ჭირნახულს მოჰკიან, ეყოფათო. ამიტომ გამოუცხადეთ სხვა-და-სხვა დაწესებულებას, რომ თავიანთ მოხელეთ ამ ივნისიდგან აღარ გამოურიცხონ ჯამაგირის თითო პროცენტი დამშეულ გლეხთა სასარგებლოდაო.

*** 6 ივნისს ტფილისიდამ აბასთუმანს გაემგზავრა საპატიმროთა უფროსი ინსპექტორი გენერალ-მაიორი ნიკოლოოზ ვასილის ძე ლევიცკი.

*** დღეს ვანქის ტაძარში გარდახდილ იქნება პანაშვიდი ამ ერთის წლის წინად გარდაცვლილის არტისტის ადამიანის მოსახსენებლად.

*** რკინის გზის სასანიტარო კომისიამ დასინჯა და დეზინფექცია მოახდინა ბაქოსა, ბალახანსა და სურახანის სადგურებზედ. ამ ჟამად სასანიტარო კომისია სინჯავს ტფილისის სადგურის სახელოსნოებსა და რკინის გზის მოხელეთა სადგურებს.

*** გუშინდელ დღიდგან სახელმწიფო უწყებები გადატანილ იქმნა დ. კოჯორში.

*** განჯის გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე პარასკევს, 6 ივნისს, განჯიდგან ტფილისში ჩამობრძანდა.

*** ამ თთვის გასულს ბ-ნ რატილის ქართული ხორო გაემგზავრება პიატიგორსკსა, კისლავოდსკს, ჟელეზნოვოდსკსა და სხვა წყლებზედ, საცა რამდენსამე კონცერტს გამართავს და შემდეგ სოხუმსა, იალტასა, სევასტოპოლსა და ოდესაში გაემგზავრება. ბ-ნს რატილს ამ მოგზაურობისთვის მიუწვევია სოლისტად ახალგაზდა ქართველი მომღერალი ბ. ცხომელიძე. ხორო ეხლავე ამზადებს ახალს რეპერტუარს. ამ თთვის ნახევარში ბ-ნი რატილი გამართავს კონცერტსა ტფილისსა და კოჯორში.

*** დამშეულთა სასარგებლოდ მეორე ლატარიის 5 მანათიანი ბილეთები თითქმის ყველა გაყიდულა და ამიტომ, ამბობენ რუსეთის გაზეთები, შეიძლება ეს ლატარია ივნისში მოხდეს და არა მარიამობისთვეში, როგორც წინად იყო გამოცხადებულიო.

*** 6 ივნისს, დილის ცხრა საათზედ, გორის მაზრის სოფელ თელეთ-გორის გლეხმა ალექსი ნადირაშვილმა ავჭალის ქუჩაზედ დასცალა შეშა და ამ დროს გამოეშვა ხარი. ხარმა თითონ ნადირაშვილი წააქცია, მერე გაჰქანდა და ზედ შუა ხიდზედ დაეჯახა იქ მდგომს პოლიციელს ტამბულოვს, რომელსაც ძლიერ დაუშავა მარცხენა გვერდი. დაშავებული ქსენონში გაჰგზავნეს.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: ,,ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა საქართველოჲსა I წიგნი, სამცხე, ვახუშტის საზოგადო ,,შესავალი‘‘-თურთ, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა.‘‘ ამ წიგნს წინ უძღვის წინა-სიტყვაობის მაგიერი, რომელშიაც მოთავსებულია მცირე საბიოგრაფიო ცნობანი ვახუშტის შე-

## ფელეტონი

### მასლაათი

„საამიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სართეველად“.
რუსთაველი

...ქალაქში საშინლად დაცხა. ადამიანი სულს ძლივს-ღა იბრუნებს. მაგრამ ყველა ქრისტიანი დაიხსნას ღმერთმა ისეთის სიცხისაგან, როგორიც ჩვენის საბანკო კრების ოპოზიციის გმირებს დაადგათ... სულის მობრუნებას ვინ-ღა ინაღვლის, როცა მთავარი გონება ველარ მოუბრუნებიათ და რეტ-დასხმულები დაბარბაცებენ და ლობე-ყორეს ედებიან. დამარცხებისაგან თავდარიგი ისე დაებნათ, თითქო გზა-კვალ დაკარგულები არიანო. თქვენ, იქნება, ეს ამბავი ხუმრობად გეჩვენოთ, მაგრამ მე-კი ნამდვილს მოგახსენებთ.

გეხსომებათ, რომ ბანკის კრებაზე ერთმა ოპოზიციის გმირმა თავმჯდომარეს „დერჟი-მორდასებური“ თხოვნა მიართვა—ჟურნალ-გაზეთობა ავად გვიხსენიებს და ხმა ჩააკმენდინეთო... ეხლა-კი სახელი და დიდება იმას, რომ იგრძნო თავისი შეცდომა, შეინანა და მწერლობასვე უთხრა, მე შეხუთვა არ მინდაო, მე შენი მომხრე და პატივისმცემელივარო... ჯერ მწერლობის შეკვრა-შებოჭვას თხოულობდა, ეხლა-კი ყოველ გვარს თავისუფლებას ანიჭებს. ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო...

მეორე გმირი ყოველ დღე ბანკის დარბაზში დაიარება, საქმეებს ჩიჩქნის, არხივს სჩხრეკავს, ფაცი-ფუცობს, სიბრძნეს იძენს და თავ-მომწონედ გაიძახის—დაიცათ და მე გიჩვენებთ „კერპისა“ და „ავტორიტეტის“ დამხობასაო... მაგრამ ეხლა რაღა დროსია ან ერთი და ან მეორე. „კერპისა“ და მის ქურუმთა დასამხობლად მომზადება წინადვე იყო საჭირო, ეხლა აგარაკად წასვლა უნდა. მაგრამ დასიცხულს ყველა მიეტევება. ღმერთმა გიხსნათ საოპოზიციო დასიცხვისაგან, თორემ თქვენც ბოდვას მოჰყვებით...

სასაცილო და სამწუხარო მდგომარეობაა! ტყუილად-კი არა სთქვა ერთმა ფილოსოფოსმა: მგრძნობიარე კაცისათვის ცხოვრება კამედიაა და გონიერისათვის ტრაგედიაო... მართლაცდა, უნებლიედ მეცინება, როცა ჩვენებურ ოპოზიციის ბელადების მდგომარეობას ვგრძნობ და იმავე დროს ნება-უნებურად ვსწუხვარ, როცა იმათ ყოფას გონების თვალით ვაკვირდები.

ეს მდგომარეობა სასაცილო იმიტომ არის, რომ სწორედ კამედიასავით დაიწყო და ტრაგედიის მსგავსად დაბოლოვდა. თურმე ნუ იტყვით, მთელი საოპოზიციო ბრძოლა და ბაქი-ბუქი ცალიერი ხუმრობა ყოფილა. ჩიტი-რეკია ბულანჟეებმა აიღეს და საკუთარს, პირადს საქმეს საქვეყნო სახელი დაარქვეს. მერე მთელი ორი სამეფო—ქართლი და კახეთი—შესძრეს და ყალყზე შეაყენეს—მოდით, სამშობლოს უშველეთ, თორემ სრულიად ჩაყლაპვენ საქართველოს სიმდიდრესაო. ჩამოვიდნენ, მოისმინეს, ნახეს, გამოიკითხეს, აიღ-დაიღეს, ასწონ-დასწონეს და რა აღმოჩნდა?.. თურმე ნუ იტყვით, ერთს გმირს თავ მჯდომარეობა სდომნია, მეორეს — დირექტორობა, მესამეს — „აცენზიკობა“, მეოთხეს—ბუღალტერობა და სხ. და სხ... სად ქვეყანა, სად სამშობლო!.. განა ეს კამედია არ არის? თუ არ კამედიისთვის, მაშ რად იყო საჭირო მაღალ ფარდებში ფრენა?

ამ ჩვენის სიღარიბის დროს მადიანსა და მაძღარს ულუფას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ კაცს არ ესაყვედურება, თუნდაც ხმლით ხელში და პირდაპირ იბრძოდეს იმის მოსაპოებლად. ასე გასინჯეთ, მეცნიერები იმასაც-კი ამბობენ, რომ ყოველგვარ ბრძოლას და კაცთა შორის სისხლის ღვრას დასაწყისი სტომაქში აქვს და არა თავშიო... მაშ თუ ასეა, რაღად მოატყუეს უმზაკვრო და გულ-უბრყვილი სოფლელობა და თავზედ მოახვიეს „აზრით ბრძოლა“, «კრიტიკის თვალით საქმეების განხილვა» და სხვა ამისთანები? სასაცილო კიდევ ისაა, რომ თითონ საოპოზიციო დასი მალე მიხვდა, საქმე რაცა ყოფილა—„აქამდე თქვენ სჭამეთ, ეხლა ჩვენი რიგიაო“... გაისმოდა გმირების ბანაკში. ხუმრობა გაშვებით, კრების პირველ ორ დღეს ისეთი საშინელი ზახილი იდგა დარბაზში, რომ გეგონებოდათ უცნაური სიმშილი თავს დაატყდა „აზრითა“ და „კრიტიკით“ აღჭურვილ გმირებსაო.

მთლად ოპოზიციაზე არ მოგახსენებთ. ოპოზიციის რაზმს ხორაგი და სასმელი ბლომად ჰქონდა. ბაღის „ბუფეტჩიკი“ ეხლაც ღმერთს ჰმადლობს, რომ ამოდენა ხალხს მოუყარეს თავი და მთელი კვირა ალხინეს და აქეიფეს ხეივნებში... მე ის მინდა ვსთქვა, რომ საოპოზიციო ბრძოლა პურის-ლუკმის ძებნამ დაჰბადა, ე. ი. ამ ბრძოლას საბაბად პირადი სარგებლობა და ფულის ადგილის შოვნა გაუხდა.

აქ დასაძრახისი არაფერია: როგორც უკვე შევნიშნე, ყოველ გვარი ბრძოლა ქვემოდამ, ე. ი. კუჭიდგან იწყება და მერე ზემოდ, ე. ი. თავში ადის. საოპოზიციო ბრძოლაც ასე დაიწყო. სხვაფრივ რომ ყოფილიყო, მაშინ ბრძოლასაც სხვა ხასიათი ექნებოდა, მაშინ საოპოზიციო მოედანზე „გონების ბრწყინვა“, „აზრების ელვა“ დაიჭერდა პირველ ადგილს და არა ყვირილი და ჟრიამული... ჩვენი გმირები-კი გონებისა და აზრის სახელით გამოვიდნენ ასპარეზზე და მე მაშინვე პოეტის სიტყვები მომაგონდა:

„გონების ბრწყინვას,
აზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას
ნეტავი მიხვდეთ,
ნეტავი მიჰსწვდეთ“...

ჩვენი ნასწავლი ახალგაზდობა, ინტელიგენცია პირველადვე მიხვდა, რომ აქ საქმე „კრიტიკისა“ და „აზრის ბრძოლაში“ არ არისო და განზედ გაუდგა ოპოზიციას. ეხლა ამის

სახეზ, ანუსხულია ნაწერები ვახუშტისა და მოყვანილია რამდენიმე საბიბლიოგრაფიო ცნობა მის გეოგრაფიის თაობაზე. ბ-ნი მოსე ჯანაშვილი აქვე გვიხსნის, რა მიზეზით დავბეჭდე ეს წიგნი ხელ-მეორედაო. ძველი გამოცემა ძვირია და ძნელი საშოვარიო, დიდის ტანისაა და მოგზაურთათვის უხერხელი სატარებლადაო. ჯერ ვბეჭდავ ცალკე წიგნად სამცხეს აღწერას, მერე დავბეჭდავ აღწერას ქართლისას, კახეთისას, იმერეთისას და ოსეთ-კავკასიელთასაო იმ რიგით, რა რიგითაც თვით ბატონიშვილსა აქვს დაწერილიო. ბოლოში წიგნს ჩართული აქვს დამატება, რომელშიაც აღნიშნულია, რა განსხვავებაა დაბეჭდილსა და ხელნაწერ წიგნს შორის. ამას გარდა, ჩართულია ანბანთ მიხედვით მაჩვენებელი წიგნში ნახმარ თითოეულის საკუთარ სახლისა და ადგილთა სახელწოდებისა. შემდეგ ჩამოთვლილია: საზღვარნი სამცხისა, მთანი, მდინარენი, ტბანი, გზანი, ხიდნი, ქალაქნი, ციხენი, მონასტერნი და საეპისკოპოსო ტაძარნი. დასასრულ წიგნის ბოლოში დაუბეჭდია ის სიგელიც, რომელშიაც მოხსენებულნი არიან თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოსი და მისი მღვდელ-მთავარნი და მწყემსნი. წიგნი საკმაოდ მოზრდილია და ღირს 25 კაპ.

*** ხაშური: 3 თიბათვეს, საღამო ჟამზედ, ალექსი შატოშვილი გადმოვარდა პატარა ვაგონეტკიდამ და მარჯვენა ხელი იტკინა.

*** ბათუმი: 5 ივნისს ნაშუადღევის 1 საათზე მატარებელმა გასრისა ოსმალეთის ქვეშევრდომი კაჟანჯინცი.

*** აჯიქაბული: 5 ივნისს, დილის 10 საათზე, აქაურს რკსნის გზის სადგურის ახლო ტბასთან ხარკოვის გუბერნიის გლეხმა ვასილ რუდიაშკინმა მოინდომა მოკვლა თავის ცოლისა, დასჭრა სასიკვდილოდ რევოლვერით, რომელიც სამჯერ ესროლა ზედი-ზედ. დამნაშავე შეიპყრეს, ხოლო დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს.

*** ერევანი: წელს ერევნის კლასიკურს გიმნაზიაში ერთმა ქართველმა ახალგაზდამ, გვარად კანდელაკმა, სამაგალითოდ დაიჭირა ეგზამენი და მიიღო მოწმობა. ბ-ნს ს. კანდელაკს გაუთავებია სწავლა გორის საოსტატო სემინარიაში და, რადგანაც ცოდნას, რაც იქ შეუძენია, არ დაუკმაყოფილებია, გამგზავრებულა საფრანგეთს სასწავლებლად. იქ ხელ-მოკლეობის გამო ძალიან შეწუხებულა და, რაკი ამ მიზეზით ვერა გაუკეთებია-რა, დაბრუნებულა უკან, სამშობლოში, იმ აზრით, რომ როგორმე რუსეთის მაღალ სასწავლებელში განეგრძო სწავლა. და აი ეხლა ბევრის შრომისა და წვალების შემდეგ მან თითქმის შეისრულა გულის-წადილი. ეხლა, იმედია, მაღალ სასწავლებელშიაც მალე დაამთავრებს სწავლას. ამავე ყმაწვილმა მოიგონა ,,ასოთ-ამწყობი'' მანქანა, რომლის მოდელები წარდგენილია ამ ჟამად ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტში დასაფასებლად.

*** გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ სამარყანდიდგან, რომ 1 ივნისს იქ კიდევ სამი კაცი გამხდარა ხოლერით ავად. სამარყანდში საშინელი სიცხეებია.

*** 4 ივნისს ტფილისის მეორე კლასსიკურის გიმნაზიის მოსწავლემ აბელმა ყარაგეზოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ორს ამ თთვისას ბანკის ვიწრო ქუჩაზე ჩემის სადგურიდამ 25 მან. ღირებული სხვა-და-სხვა ნივთი მომპარესო.

*** 5 ამ თთვისას სუმბათოვის ვიწრო ქუჩაზე სათადარიგო ფერშალი ივანე რიმკევიში წაეჩხუბა ცუდის ყოფა ქცევით ქალს ლიუბოვ ისტომინოვას და გრაფინა გადაამტვრია თავზე. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე-კი პასუხის გებაში მისცეს.

## ნარევი

აბასთუმნიდამ დაბრუნებულ გურულსა ჰკითხეს: რა ამბავია აბასთუმანშიო.

— აბაზის ალაგას თუმანი იხარჯებაო, უპასუხა გურულმა.

## დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება

4 თიბათვე

ამ წლის 12 აპრილს მოხდა ჩვეულებრივი წლიური კრება დრამატიულ საზოგადოებისა. კრებამ სხვათა შორის აირჩია ახალი წევრნი დრამატიულ კომიტეტისა. როგორც გაზეთებში ნათქვამი იყო, კომიტეტის ძველმა წევრმა თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა თავმჯდომარეს საჩივარი მიართვა, კრება უკანონო იყო და გთხოვთ მოახდინოთ საგანგებო კრება, განიხილოთ ჩემი საჩივარი და, თუ ჩემს საჩივარს საფუძვლიანად იცნობთ, მოახდინეთ ახალი არჩევანებიო. თ. ანდრონიკაშვილი სჩიოდა, რომ კრებაში და კენჭის-ყრაში მონაწილეობა მიიღეს ისეთებმა, რომელთაც უფლება არა ჰქონდათო. 31 მაისის საგანგებო კრებამ თ. ანდრონიკაშვილის საჩივარი საფუძვლიანად იცნა, არ შეიწყნარა 12 აპრილს მომხდარი არჩევანები და დაადგინა, ახალი არჩევანები მოეხდინა. საგანგებო კრებაზედ თავმჯდომარეობდა თ. ი. გ. მაჩაბელი, თ. გ. თუმანიშვილის მაგიერ, რადგან უკანასკნელის მოქმედებას იხილავდა კრება. კომიტეტის ახალ წევრთა სახელი და გვარი უკვე მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში. გაჰგრძობა 31 მაისის კრებისა დანიშნული იყო ხუთშაბათს, 4 თიბათვეს. კრება თ. გ. მ. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო რვა საათზე და გაგძელდა 11 საათამდე. გარეშე ხალხი ბლომად დაესწრო. განსაკუთრებით ბევრნი მოვიდნენ კრების დასასრულს. წევრთა რიცხვი-კი არ აღემატებოდა 27 კაცს.

ა. ნ. ფურცელაძე. ვიდრე ეხლანდელი კრება საქმეების განხილვას შეუდგებოდეს, გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, ნება მიბოძოთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ წარსულის კრების შესახებ. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ წარსულ კრებაზე ჩემდა უნებლიედ მონაწილეობა მივიღე და უფლება-კი თურმე არა მქონია. ამით დაირღვა წესდება და, მაშასადამე, წარსული არჩევანებიც უკანონოდ უნდა ჩაითვალოს.

ბ-ნმა თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ჯერ ოქმი წავიკითხოთ წარსულის კრებისაო და მერე, ვისაც რა აქვს სათქმელი, სთქვას და გავარჩევთო. ოქმის წაკითხვის შემდეგ, ა. ფურცელაძემ ხელ ახლად განიმეორა თავისი სიტყვა.

ი. გ. ჭავჭავაძე. წარსულმა კრებამ მეორე, უფრო დიდი უკანონობა ჩაიდინა. მოახდინა არჩევანები, რომელიც წინდაწინვე გაზეთებში არ იყო გამოცხადებული და მაშასადამე არაფერი ვიცოდით, იქნებოდა კომიტეტის წევრების არჩევა, თუ არა. ასეთის საქციელით თქვენ დაარღვიეთ ჩვენი უფლება, როგორც საზოგადოების წევრთა.

ი. გ. მაჩაბელი. წარსულმა კრებამ მე ნდობა გამომიცხადა და თავსმჯდომარედ ამომირჩია, რისთვისაც გულითადს მადლობას გიხდით. გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ არჩევანებიც და კრებაც სრულიად კანონიერი იყო და წესდებაც არ დარღვეულა. ბატონებო, ზაფხული მალე გაივლის. თუ კვირას არჩევანებს არ მოვახდენდით და გადავდებდით შემდეგისათვის, დრამატიული საზოგადოება უკომიტეტოდ დარჩებოდა, საქმე ამითი ძილიან შეფერხდებოდა, რადგან სათეატრო სეზონი მოახლოვდა და თავდარიგს წინადვე უნდა შევუდგეთ. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ, ვისაც გული შესტკივა ჩვენის თეატრისთვის, შეეძლო კვირას მობრძანებულიყო და თავისი სურვილი გამოეცხადებინა.

ი. გ. ჭავჭავაძე. გულ-მტკივნეულობა აქ რა შუაშია, ან რა მოსატანია. თუ მაინცა და მაინც გნებავთ გულმტკივნეულობა, მე სწორეთ არჩევანებისთვის შემტკივა გული. ჩემთვის სრულებითაც არ არის ერთი, ვინ იქნება არჩეული კომიტეტის წევრად. ეს საგანი არ იყო გამოცხადებული გაზეთებში და შემეძლო არც მოვსულიყავ, რადგან ამ საგანზე სჯა და ბაასი არ იქნებოდა. ამას გარდა, აქა ბძანეს, რომ დრამატიული საზოგადოება უკომიტეტოდ დარჩებოდაო და იმიტომ დავაჩქარეთ არჩევანების მოხდენაო. ეს საბუთი შესაწყნარებელი არ არის. სანამ ახალი კანონიერი არჩევანები მოხდება, ძველი კომიტეტი იქნებოდა სრულის უფლებით აღჭურვილი.

თ. ი. გ. მაჩაბელი. უკაცრაოდ, ბატონებო, მე ჩემი აზრი წეღან რიგზე ვერ გამოვხატე, შემეშალა; დიახ, მართალია, რომ ძველი კომიტეტი იქნებოდა, სანამ ახალს არ დავნიშნამდით.

ზაქ. ყიფიანი. თ. ანდრონიკაშვილის საჩივრის განხილვამ ცხადათ დაგვანახვა, რა წესით და რიგით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა რაიმე უკანონობას დავინახავთ ჩვენს მოქმედებაში. როგორც მაშინ, ისე ეხლა უნდა მოვიქცეთ. ბ-ნი თავმჯდომარე მიიღებს ბ-ნ ან. ფურცელაძის და თ. ჭავჭავაძის საჩივარს და დანიშნავს შემდეგისთვის საგანგებო კრებას მაგ საჩივრების განსახილველად.

თ. ი. გ. მაჩაბელი. ზოგიერთნი ამბობენ, რომ წარსული არჩევანები უკანონო იყოვო. მე-კი ვიმეორებ, რომ არაფერი უკანონობა არა ყოფილა. მართალია, იყო მცირედი ფორმის დარღვევა, მაგრამ ამას არაფერი ფასი არა აქვს და სახეში არ არის მისაღები.

---

გამო დიდი თათბირი და ბჭობაა. თვით ოპოზიციასაც უკვირს—ეს უბედურება საიდგან მოგვევლინა, როცა ინტელიგენციას ასე მოსწონს „კერპების“ დამხობა და აზრისა და კრიტიკის გზით სვლაო. აქ საკვირველი და გაუგებარი არაფერია. მიზეზი ისაა, რომ გულითა და სულით წმინდა ინტელიგენციას არასოდეს არ მიიზიდავს ისეთი საქმე, რომელსაც სახელად საქვეყნო მოღვაწეობა ჰქვიან და სახრავად-კი ორიოდე კაცის პირადი სარგებლობა მიაჩნია.

„კერპის“ და ავტორიტეტის ბატონობა არც ინტელიგენციას ეპრიანება, მაგრამ როდის?—როცა კერპობა და ავტორიტებობა საქვეყნო საქმის აღორძინებას წინ ეღობება და არა მაშინ, როცა ორიოდე „არამკითხე“ და «აუქშიე» კაცის პარპაშობას ეწინააღმდეგება. აბა ოპოზიციის ბელადებს უკუ ეგდოთ პირადი სარგებლობა, უარ ეყოთ თავისი საკუთარი ანგარიში, აბა შესდგომოდნენ „წმინდისა გულით კეთილის თესვას“, თუ მაშინვე ინტელიგენცია მხარს არ დაუჭერდა...

ერთი დიაღ მაღალ-ნიჭიერი და გონება-მახვილი პუბლიცისტი ოპოზიციის დამარცხების გამო ამტკიცებდა, რომ ოპოზიცია დაჰღუპა ზნეობრივის კანონის უცოდინრობამაო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ყველა საზოგადო მოღვაწისათვის სწორედ ეს ზნეობრივი კანონია სავალდებულო და ვაი იმას, ვინც ამ კანონს გადავა. თვით საქვეყნო ეკონომიურ ბრძოლასაც-კი საფუძვლად ზნეობრივი კანონი, ე. ი. უზენაესი სიმართლე უძევს. შეიძლება რაიმე მანქანებით რომელმამე გმირმა ხმის უმეტესობით დათრგუნოს ზნეობრივი კანონი და პირადი სარგებლობა გაამეფოს, მაგრამ უზენაესი სიმართლე თავისას არ დაიშლის და ხვალ თუ ზეგ დაამარცხებს თავის მეტოქეს... შეიძლება ოპოზიციის გმირებმა სამერმისოდ, თუ შემდეგ ბურთი გაიტანონ, მაგრამ ასეთი გამარჯვება სადღე-ხვალიო იქნება და ფეხს ვერ მოიკიდებს, თავს ვერ დაიჭერს. მაშასადამე, საჭიროა გმირები „იჯმნან ეშმაკისაგან და შეუდგნენ ქრისტესა“, ე. ი. ზნეობის ემბაზში იშვან და შეცოდებისაგან განიბანონ. ზნეობრივ სიწმინდესთან ერთად პროგრამაც უნდა იყოს გონიერი, დასაბუთებული და მიმზიდველი. აი სწორედ მაშინ მოიგებენ ინტელიგენციის გულსა...

დიდი მასლაათია იმას გამოც, რომ ოპოზიციის ბაირახტრებს და მეტადრე ამირ-სპასალარს „სტრატეგიის“ და „ტაკტიკის“ ცოდნა აკლდათ და იმიტომ დამარცხდნენო. მართალია, ბრძოლაში ხერხსა და სიმარჯვეს მნიშვნელობა აქვს და ოპოზიციის მეთაურს ბევრი შეცდომა მოუვიდა, მაგრამ დამარცხების მიზეზი-კი ეს არა ყოფილა. არც საბანკო ბრძოლა არის სამხედრო ომი. როცა ბრძოლასსაგნად ასეთი ზნეობრივი საქმე აქვს, როგორც „კერპისა“, და იმის ქურუმთა დამხობაა, მაშინ ხერხსაცა და სიმარჯვესაც სიმართლე შეადგენს და სხვა არაფერი. აზრის „სტრატეგია“ და „ტაკტიკა“ იმისი ძალა და ჭეშმარიტებაა. მეორეს მხრით, თუ რომელიმე „კერპი“ ნამდვილად უკეთური და ქვეყნის დამღუპველია, მაშინ ცალიერი უბიწო და წმინდა ჭეშმარიტებაც საკმაოა იმის დასათრგუნველად. საქართველოში თვით უდიდესი და მრისხანე არმაზი უძლურმა ქალმა დაამხო. აბა ღრმად ჩაუფიქრდით ამ ისტორიულს მაგალითს...

და განა მართლა ოპოზიციას სტრატეგოსი და ტაკტიკოსი აკლდა?—სრულებითაც არა: რაზმი კარგად მოეწყოთ, ხოლო ჯარი ძალიან ცოტა ჰყავდათ, ოციოდე ერთგული კაცი ძლივს თუ მოეპოვებოდათ. სტრატეგია-კი იმით გამოიჩინეს, როგორც უწინაცა ვსთქვით, რომ მეთოფე-მეზამბულაკენი აქეთ-იქით დაეყენებინათ სასტიკის ბრძანებით—რაც უნდა სთქვას ჩვენმა კაცმა, ვაშა და ტაში დასძახეთ და ბუკსა და ნაღარას დაჰკარითო; თუ ვინიცობაა მოწინააღმდეგეს ლაპარაკი მოუწონეს და ტაში დაუკრეს, იყვირ-იყვილეთ, რომ ეს ტაშის-მკვრელები აქედამ გარეკონ—წესიერებას არღვევენო; გარდა ამისა ეცადენით, ჩვენ მოწინააღმდეგეთ ხმა არ ამოაღებინოთ და, თუ ამოიღეს ხმა, მაშინვე ჟივილ-ხივილი ასტეხეთო. მაგრამ ამ სტრატეგიამაც ვერ უშველა და საქმე გათავდა ისე, როგორც ჩვენი ცხონებული ანდაზა ამბობს: ჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო. ამბობდნენ, ეგ იმიტომ მოგვდის, რომ давленіе производятъ-ო, ესე იგი, თქვენი აზრი ძალას გვატანს, თავში გვცემსო.

— ჩემი რა ბრალია და ან რას ვიზამ, როცა ნამდვილის აზრის თვისება ეგეთია, რომ მართალი, ძლიერი აზრი ფეხ-ქვეშ თელავს მტყუანსა და უძლურსაო და აქ არაფერი არა უშველის-რა, თუნდა მთელი არტილერიაც ზედ მიაყენოთო, უპასუხეს ოპოზიციას. მართალიც არის: ოპოზიციასაც და იმის მოწინააღმდეგეთაც ერთი და იგივე ფარ-ხმალი ჰქონდათ—სიტყვა და აზრი და თუ ერთმა მეორეს აჯობა, ეგ ძალ-დატანება-კი არ არის, საბუთიანის სიტყვისა და აზრის გამარჯვებაა.

იცით ამ მოკლე და მოსწრებულ პასუხში რა ბევრი რამ იხატება? თქვენი რა მოგახსენოთ და მე-კი ამ პასუხის შემდეგ მაშინვე აზროვნობის მთელი ისტორია თვალ-წინ წარმომიდგა. (თუმცა ,,აზრით ბრძოლის“ ბანაკს არ ვეკუთვნი, მაგრამ ამ ისტორიისა მეც რამე გამეგება). ეს ისტორია გვაუწყებს, რომ მართალსა და ჭეშმარიტს აზრს ვერა დასთრგუნავს-რა და ,,ყოველნივე მტერნი და მბრძოლნი მისნი დაემორჩილნენ ქვეშე ფერხთა მისთაო''. ოპოზიცია თუმცა დამარცხდა, მაგრამ დამორჩილებაზე უარს ამბობს და ახალს, უფრო დიდს ლაშქარს ამზადებსო. საქმეს ეხლავე შესდგომია და იფრინდა-შიკრიკები გაუგზავნია ქართლ-კახეთში. ოპოზიციის ერთი ბაირახტარი მარწმუნებდა, სამერმისოდ ჩვენ გავიმარჯვებთ და ,,აზრით ბრძოლასაც'' ბოლო ამით მოეღება, ,,კრიტიკის თვალით'' წინ მსვლელობა გათავდებაო... აი თურმე რა ყოფილა ,,აზრით ბრძოლა'' და ,,კრიტიკის თვალი'' და მე-კი, საწყალს, დიდი რამ სამეცნიერო და საისტორიო საგანი მეგონა. ამასაც ვიტყვი, რომ რაც უნდა თავდარიგს შეუდგნენ ისინი, ვინც ეხლა ოპოზიციის სახელით იხსენიებიან, შემდეგშიაც ვერაფერს გააწყობენ, იმიტომ რომ ოპოზიციის გამარჯვებისათვის მარტო მუშტი და ღრიალი-კი არ არის საჭირო, საჭიროა ღონე სიტყვისა და აზრისა და ამავეს ეხლანდელი მოთავენი სრულიად მოკლებულნი არიან.

Plebs

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. თ. ხიზანაშვილი. დიდად სამწუხაროა, რომ ასე სუბუქად ვეკიდებით საქმეს და ვამბობთ, კანონის დარღვევა არაფერიაო. ასეთ გზაზედ დადგომა მეტად საშიშია და შეიძლება ოდესმე ცხვირში ძმარი გვადინოს. ამისათვის გთხოვთ ფთხილად და მომეტებულის პატივის ცემით მოეკიდოთ კანონის მოთხოვნილებას.

ი. გ. ჭავჭავაძე. აქა ბძანეს, რომ წარსული არჩევანები კანონიერიც იყო და უკანონოცაო. არის იმისთანა საგნები, რომელთა შესახებ ყოვლად შეუძლებელია კაცმა ორი აზრი იქონიოს. მაგ. ეხლა ღამეა. ვინ იტყვის, რომ დღეაო. ბ-ნმა ა. ფურცელაძემა სთქვა, მე ვიყავი წევრი დამფუძნებელი და ამ რამდენსამე წლის განმავლობაში ფული არ შემომიტანიაო. კანონით ამის გამო წევრად აღარ უნდა ითვლებოდეს. მე-7 მუხლი ჩვენის წესდებისა ამბობს, წევრი დამფუძნებელი, რომელმაც ერთის წლის განმავლობაში არ შემოიტანა საწევრო ფული ერთი თუმანი, გამორიცხული უნდა იყოს წევრობიდამაო. ბ-ნს ა. ფურცელაძეს რამდენისამე წლის განმავლობაში არ შემოუტანია საწევრო ფული და როგორ უნდა ირიცხებოდეს ეხლა წევრად. განა ამაზე შეიძლება ორი აზრი იქონიოს კაცმა, როცა კანონი ასე ცხადად და გარკვევით ლაპარაკობს?

თ. ი. გ. მაჩაბელი. იმისთანებიც ბძანდებიან, რომ ხშირად თეთრს შავს უწოდებენ, რომ ხალხს თვალი აუბან და თავისი გაიყვანონ, ასე რომ შესაძლებელია ერთს საგანზე ორი, სრულიად წინააღმდეგი აზრი იქონიონ. მაგალითად, დიდი დარღვევა არ იქნება კანონისა, თუ წევრს-დამფუძნებელს ერთხელ მაინც შემოუტანია საწევრო ფული, იგი მაინც ისევ ითვლებოდეს ნამდვილ წევრად, იმიტომ რომ მე-9 მუხლში სწერია, ნამდვილ წევრად ირიცხება ის, ვინც მარტო სურვილი გამოაცხადა წევრობისა და კრებისაგან არჩეულ იქმნა. ფულის შემოტანაზე-კი კანონი არას ამბობს.

ნ. ხიზანაშვილი. სურვილი საკმაო არ არის, რომ კაცი წევრი გახდეს. და არც ერთი კანონი არ გახდის სურვილს საბუთად წევრად შემოსვლისას. ამ სურვილს უნდა მოჰყვეს მოვალეობაც საწევრო ფულის შემოტანისა. ეს თავის თავად საცნაურია და გასაგები. თორემ რომელი კანონი იტყოდა, ოღონდ მარტო სურვილი გამოაცხადე და წევრი გახდებიო.

ბაასი დიდხანს გაგრძელდა. ილაპარაკეს: თ. პ. გრუზინსკიმ, თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილმა, თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა და სხვებმა. დასასრულ კენჭი ჰყარეს, უკანონოდ ჩაითვალოს კვირას მომხდარი ყოველივე დადგენილობა კრებისა, თუ არაო იმ საბუთების ძალით, რაც ან. ფურცელაძემ და ილია ჭავჭავაძემ წარმოადგინესო. ხმის უმეტესობით გადასწყდა, რომ წარსული კრება კანონიერ არ იყო და, როგორც მოხსენებული გვქონდა, ახალი საგანგებო კრება დაინიშნა 15 თიბათვისთვის.

კენჭის ყრის შემდეგ საზოგადოების ერთმა ნაწილმა დარბაზს თავი დაანება. თ. ი. გ. მაჩაბელმა და პ. ი. ყიფიანმა განაცხადეს, რომ არა გვსურს ამას შემდეგ კომიტეტის წევრობა და ყველასა ვსთხოვთ, ჩვენი კანდიდატობა არავინ წამოაყენოს შემდეგშიაცაო.

დასასრულ კრება შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას, მაგრამ დაგვიანების გამო გადიდო სადღეისოდ.

## თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი

22 მაისს გათავდა წელს ეგზამენები თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში. 24 მაისს იყო აქტი. მეოთხე კლასში იყო სულ 14 შეგირდი და ყველამ დაამთავრა სწავლა. პირველსა, მეორესა და მესამე კლასში-კი ეგზამენები არი იყო. შეგირდები ერთის კლასიდამ მეორეში გადაიყვანეს იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ სწავლობდა წლის განმავლობაში.

აქტზე ერთი გარემოება აღმოჩნდა. ეს ის გარემოებაა, რომ ძლიერ ბლომად დარჩნენ შეგირდები ერთსა და იმავე კლასში, თუ მეტადრე მხედველობაში მივიღებთ იმათ რიცხვსაც, რომელთაც დაავალეს ენკენისთვეში ეგზამენის დაჭერა: აი, მაგალითად, მოსამზადებელ კლასის უნცროსს განყოფილებაში იყო სულ 12 შეგირდი, 5 ეგზამენი დაუნიშნეს, 1 სულ დასტოვეს. შუათანა განყოფილებაში იყო 6 შეგირდი; ეგზამენი დაუნიშნეს 4; უფროსს განყოფილებაში იყო სულ 18 შეგირდი, ეგზამენი დაუნიშნეს 2, დასტოვეს 5; პირველ კლასში იყო 33, ეგზამენი დაუნიშნეს 12, დასტოვეს 5; მეორე კლასში იყო 31, ეგზამენი დაუნიშნეს 12, დასტოვეს 3; მესამე კლასში იყო 17, ეგზამენი დაუნიშნას 4. ეგზამენები დაუნიშნეს უფრო: არითმეტიკასა და გეოგრაფიაში I და II კლასებში და ქართულს ენაში მოსამზადებელს კლასში.

ას მოწაფეთაგან, რომელიც იყო სასწავლებელში, მეორე კლასს გარდა, დასტოვეს და ეგზამენი დაუნიშნეს 50 შეგირდზედ მეტს. ამის გამო შეგირდების მშობლებსა და საზოგადოებაში ჩივილი და საყვედური ისმის: რა ამბავია ამოდენა შეგირდების დატოვება ერთსა და იგივე კლასში, ან ამდენთათვის ეგზამენების დაჭერა სექტემბრისათვისაო. რა არის ამისი მიზეზი? ჩვენის აზრით, მიზეზი ის არის, რომ არ შეუფარდეს ზოგიერთ მოწაფეთა სწავლის ნიშნები წლის განმავლობაში იმ ნიშნებს, რომელიც იქმნა დასხმული საეგზამენო უწყების დავთარში. ამ დავთარში ეს ნიშნები ნაკლები იყო წლის ნიშნებზე. ამ სახით, რომელ შეგირდსაც შუათანა ნიშნად გამოუვიდა ერთს ან ორს საგანში 3 ან კიდევ $2^1/_2$, ეგზამენი დაუნიშნეს, თუმცა ამისთანა ნიშნებით დაბალ კლასებში დიდი ცოდვა არ იქნებოდა, რომ უეგზამენოდ გადაეყვანათ შეგირდები.

საკვირველი ის არის, რომ ზოგიერთს მასწავლებელს თავი მოაქვს, როცა სასტიკად ეკიდება შეგირდს და ცუდს ნიშნებს უწერს. ამისთანებს ავიწყდებათ ის ცირკულიარი კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველისა, რომელშიაც ნათქვამია: თუ მასწავლებელი შეგირდს ცუდს ნიშნებს უწერს, მით იგი თავის თავს ჰკიცხავს, თავის სწავლების უხეირობას ამტკიცებსო. მართლაცა და რა მასწავლებელია ის მწავლებელი, რომელმაც მთელის წლის განმავლობაში შეგირდებს ვერა ასწავლა-რა და შეგირდს ეუბნება, ამ ზაფხულის სიცხეებში თავი მოიკალ და ისწავლე, რაც მე ვერ გასწავლეო. თუ შეგირდმა მასწავლებლის შემწეობით ვერა ისწავლა-რა მთელს წელიწადს, დავიჯეროთ ორ-სამ თთვეს ისწავლის და ისიც ზაფხულში, როცა დაღლილს და დაქანცულს ყმაწვილს დასვენება ეჭირვება? ამაზე მეტს აღარას ვიტყვით. ესეც საკმაოა იმათთვის, ვისაც გაგონება უნდა.

?

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ ჟამად ყველასთვის ის არის სალაპარაკო, გვეწვევა თუ არა კავკასიაში დაუპატიჟებელი სტუმარი,—ხოლერაო. გაზეთი „Кавказъ“-ი სწერს ხოლერის შესახებ:

კარგა ხანია, რაც დასავლეთის აზიაში ხოლერა გაჩნდა და დიდძალი ხალხი იმსხვერპლა არაბეთისა და ავღანისტანში და იქიდგამ გავრცელდა აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ და ინდოეთშიაც გადავიდა. დასავლეთისკენ ხოლერა ჯერ ჰერათს ეწვია და შემდეგ მეშედში გადავიდა. მეშედში თითქმის 100,000 კაცი მცხოვრებია, ამ ქალაქში დიდძალი ხალხი მოდის სალოცავად და თვით ქალაქში საშინელი უსუფთაობა სუფევს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ აქ ისე გაძლიერდა ხოლერა, რომ, როგორც ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოხსენებული, ამ საშინელმა სენმა ერთის დღეს 400 კაცი იმსხვერპლა.

მეშედი ძლიერ ახლოა რუსეთის საზღვარზედ, სულ 150—170 ვერსზეა მოშორებული, და ამიტომ, რასაკვირველია ადვილად შესაძლებელია, რომ ხოლერა რუსეთშიაც გადავიდეს, და იმიერ კასპის მხრიდგან უფრო ადვილად ეწვევა კავკასიასაც.

რა თქმა უნდა, რომ უნდა ვეცადოთ და რაც-კი საშუალება და ძალღონე მოგვეპოვება, ყველაფერი ვიღონოთ ამ საშინელის სენის ასაცდენად და მოსასპობად. სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ ამბავს, რომ, როგორც კასპიის იმიერ მხარეს, ისე კავკასიაშიაც, ყოველ გვარი ღონის ძიებაა ნახმარი და მოსაზრებული ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, და თუ მართლა კარგად მოვემზადებით და ყველა, მეცნიერებიბისაგან მოგონილს, საშუალებას ვიხმართ, ეს სენი ისეთი საშინელი აღარ იქნება, როგორიც წინად იყო. აღვნიშნავთ იმ გარემოებასაც, რომ 1830 წლიდგან ხოლერა არც ერთხელ არა ყოფილა არც ერთს ქვეყანაში ისე გაძლიერებული, როგორც აღნიშნულს წელს. მეცნიერებამ ეს სენი საკმაოდ შეისწავლა და ყოველ გვარი საშუალებაც შეიმუშავა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. გაჩნდა თუ არა მეშედში ხოლერა, იმ წამსვე იქ გაემგზავრნენ ევროპისა და რუსეთის მკურნალნი და გულ-მოდგინედ ებრძვიან ამ სენსა. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ მაინცა და მაინც ხოლერა არ აგვცდა წრეულს, ისეთი საშინელი არ იქნება, როგორიც წინად იყო, რასაკვირველია, თუ ჩვენ თითონაც ვეცდებით, ყველა ღონის ძიებასა და საშუალებას ვიღონებთ და ავასრულებთ იმ დარიგებასა, რომელსაც მეცნიერება ხელთ გვაძლევს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ სისუფთავე და მკურნალთა დერიგების ასრულება სასარგებლო და საჭიროა, როგორც იმის საკუთარ კეთილ-დღეობისთვის, აგრეთვე მის მოძმე მეზობლისათვისაც. ჩვენს სამშობლოში ბევრი გაუნათლებელი და გაუგებარი ხალხია, რომელსაც ჯერ არ შეუგნია სასანიტარო ღონის ძიებათა მნიშვნელობა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბევრია ისეთიც, რომელსაც ყველა ეს კარგადა აქვს შეგნებული. ამ გვარ კაცებს ეკუთვნიან, რასაკვირველია, ჩვენი კმითხველნიც და ვისურვებთ, რომ ყველა ჩვენმა მკითხველებმა მიაქციონ ყურადღება სასანიტარო მოთხოვნილებასა, მეცნიერების და მკურნალთა დარიგებას და ეცადნენ მათ ასრულებას. ამით ისინი ხელს შეუწყობენ ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლასა და მით მოსპობენ და გადაარჩენენ ამ სენისაგან თავის თავსაც და ბევრს თანამოძმესაც.

## უცხოეთი

**ავსტრი ვენგრია.** იქით ოთხშაბათს იმპერატორმა ფრანც იოსებმა ინახულა წევრნი სეიმისა და დეპუტაციები, რომელნიც მისალოცავად მივიდნენ ვენგრიის გვირგვინის კურთხევის იუბილეისა გამო. როგორც მნახველნი ჰმოწმობენ, ისეთის თანაგრძნობითა და აღტაცებით ეგებებოდნენ და ულოცავდნენ იმპერატორს, რომ მეტი შეუძლებელი-ღა იყო. დილით, სადღესასწაულო ღვთის-მსახურების დროს, ვენგრიის პრიმასმა სიტყვა მოახსენა იმპერატორს და სხვათა შორის სთქვა: „ვისურვებ, რომ მეფე და ერი, შეერთებულნი ურთიერთის სიყვარულით, ერთად შრომობდნენ განსამტკიცებლად უფლებისა, ზნეობისა, კეთილდღეობისა, ბედნიერებისა და იმ კანონთა, რომელზედაც უნდა დამყარდეს ძმობა ვენგრიის სხვა-და-სხვა ერისა, თუ კანონიერად განსაზღვრულ დაცული იქნება უფლებანი ერისა და მეფისა“. ფრანც იოსებმა სიტყვა უთხრა წარმომადგენლებს სეიმისას და ის აზრი გამოსთქვა, რომ ავსტრიისა და ვენგრიის მორიგების გამო იმპერიამ უმეტესი ძლიერება მოიპოვაო. სეიმის პრეზიდენტმა განუცხადა იმპერატორს სეიმისგნით თანაგრძნობა და ერთგულება ერის წარმომადგენელთა „სასტიკად დაცვისათვის კონსტიტუციისა და კანონთა, რაიცა საიმედო და მტკიცე თავმდებია იმ სიყვარულისა, ერთგულებისა და ნდობისა, რომელმაც ერი და მეფე უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს“. იმპერატორმა ამაზედ სხვათა შორის უპასუხა: „ვმადლობ იმ დიდს ვენგრიელს პატრიოტებს, რომელნიც 25 წლის განმავლობაში ჩემთვის ერთგულნი მრჩევლნი იყვნენ და ვენგრიელთათვის ბრძენნი ხელმძღვანელნი. დიდად სასიამოვნოა ჩემთვის, რომ სეიმი ესოდენ მტკიცედ ერთგულებს გვირგვინს წმ. სტეფანესას და მონარქს. დარწმუნებული ვარ, რომ, თუმცა შეხედულობანი და აზრი ამა თუ იმ საპოლიტიკო საქმის შესახებ კერძო მოღვაწეთა და საპოლიტიკო დასთა ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ყველას ერთი უმთავრესი წმინდა საგანი—მამულის სიყვარული აქვს გულში; დარწმუნებული ვარ აგრეთვე, რომ მამულის მოყვარეობით გამსჭვალული სეიმი უერთგულებს სამეფო ტახტსა, წმინდა გვირგვინს და მხარს მისცემს ჩემს სხვა-და-სხვა კეთილ-განზრახულებას, რომელთა განხორციელებაც უდიდესი ჯილდო იქნება ჩემის შრომისა და ღვაწლისა“. ამ სიტყვისა გამო დეპუტატებმა დიდი ოვაციები გაუმართეს იმპერატორსა.

**გერმანია.** გერმანიის საიმპერიო სასტატისტიკო ბიურომ ეხლახან გამოაცხადა ცნობანი გერმანიის 1891 წლის საგარეო ვაჭრობის შესახებ. ამ ცნობებში აღნიშნულია ღირებულობა გერმანიიდგან გატანილ და გერმანიაში შეტანილ საქონლისა. გერმანიაში მიტანილ იქმნა 1891 წელს სულ 290.127,188 ტონნი— 4.403,404,000 მარკად ღირებული; ხოლო გატანილ იქმნა იქიდგან 201,393,755 ტონნი — 3.309,755,000 მარკისა. მაშასადამე, მიტანილს საქონელს გატანილისათვის $1{,}063^1/_2$ მილიონის მარკით გადაუჭარბებია. 1890 წელს მიტანილმა საქონელმა გატანილს 863 მილიონით გადააჭარბა, 1889 წელს—833 მილიონით, ხოლო 1888 წელს მარტო 83 მილიონით. წინა წლებში სულ სხვა ამბავი იყო. 1887 წელს გატანილმა შემოტანილს გადააჭარბა $1^1/_3$ მილიონის მარკით, ხოლო 1886 წელს 107 მილიონის მარკით. ამის წინა წლებში, 1881 წლამდე, ხან გატანილი სჭარბობდა, ხან შემოტანილი, მაგრამ განსხვავება არას დროს 80 მილიონ მარკას არ აღმატებია. თუ უკანასკნელს ორს წელს, როგორც ზემოდ არის აღნიშნული, მოტანილს თითქმის ორის მილიარდის მარკით გადაუჭარბებია გატანილისათვის, ეს საბუთი ნათლად ჰმოწმობს ცუდს გარემოებას გერმანიის საგარეო ვაჭრობისას. ამასვე ამტკიცებენ ის გარემოებანი, რომელიც ხსენებულმა ბიურომ წლევანდელის პირველის მესამედის შესახებ გამოაცხადა. ახალ წლიდამ აპრილამდე გერმანიიდგან გატანილი $301^1/_2$ მილ. მარკით ნაკლებია მიტანილზე. თუ ასე წავიდა საქმე წლის დამლევამდე, შეიძლება მიტანილმა საქონელმა გატანილს 1,200 მილიონის მარკის ღირებულობით გადააჭარბოს. ზემოხსენებულს ცნობებში რომ განცალკევებული იყოს დამუშავებელი საქონელი დაუმუშავებელისაგან, მაშინ, რასაკვირველია, უფრო კარგად შევიგნებდით გერმანიის საგარეო ვაჭრობის ავკარგიანობას. იმედია, სასტატისტიკო ბიურო ამ ცნობებს აგვისტოში გამოაცხადებს წარსულ წლებისამებრ. რაიცა შეეხება საქონლის სხვადასხვაობას, ამ წელს მიტანილ საქონელთა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს პურსა დ საზოგადოდ მიწის მოსავალს, ხოლო გატანილ საქონელთა შორის თითქმის უკანასკნელი. ეს გარემოება კარგად ჰმოწმობს უვარგისობას პურით ვაჭრობის მფარველობისას, რაიცა საიმპერიო კანცლერის თავად ბისმარკის მიერ იქმნა შემოღებული. ესეთსავე დაქვეითებას გერმანიის საგარეო ვაჭრობისას თვით გერმანული გაზეთებიც ამტკიცებენ და ბრალს ამისას ვაჭრობის მფარველობას სდებენ.

**ოსმალეთი.** კონსტანტინოპოლიდგან 27 მაისის თარიღით შემდეგსა

სწერენ გაზეთს «Daily News»-ს: „გუშინ დილით სომეხთა პატრიარქმა სამსახურს თავი დაანება. ეს ამბავი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ სომხებს ჰსურდათ ჩვეულებისამებრ ედლესასწაულათ ნახევრად სიეროვნო საბჭოს დაარსების დღე, ხოლო მთავრობამ აღუკრძალა. დღესასწაული ორშაბათს უნდა მომხდარიყო. როგორც სომხეთიდგან ამბები მოდის, მკვიდრნი დიდს შიშში არიან თურმე. საკმარისია სომეხი ევროპიელს დაელაპარაკოს, რომ ციხეში დააპატიმრონ. ზეითუნის ეპისკოპოსის დაპატიმრებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს. ეპისკოპოსს მხოლოდ იმიტომ მიუსაჯეს დაპატიმრება, რომ სალიხ-ფაშასა და სხვა წარჩინებულთ უთხრა, ხალხის ჩაგვრა წინააღმდეგობას გამოიწვევსო. იმის ეპარქიაში ერთს სომეხს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს რამდენისამე მოწმის ნაძალადევის ჩვენებისა გამო. ეპისკოპოსმა სთქვა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ხონთქარმა არ იცის, რომ იმის სახელით ხალხს ასე სჩაგრავენო. ეპისკოპოსმა და სიკვდილ-მისჯულმა კაცმაც სააპელაციო საჩივარი გადაიტანეს კონსტანტინოპოლში. სერ კლერ ფორდი წარადგენს მოხსენებას მთავრობასთან იმის შესახებ, რომ უფრო სამართლიანი პოლიტიკა დაწესდეს.

### წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, თქვენ გაზეთში ადგილი მისცეთ ქველმოქმედ-მოყვარულთ ანგარიშს, სპექტაკლისას, რომელიც „იყო გამართული თდ. ნ. ზ. ჯორჯაძის თაოსნობით ქ. თელავში წმ. ნინოს ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ 10 მაისს:

შემოსავალი:

ბილეთები გაიყიდა—188 მან. 50 კ., ბუფეტიდგან შემოვიდა—71 მ. 60 კ., ბ. ოპოჩინინმა შემოსწირა—12 მ., სულ—272 მ. 10 კ.,

გასავალი:

სცენის გამართვა—7 მ., სასმელების, ვახშმის და სამხრის ხორაგის ყიდვა, ჭურჭლის ქირა—34 მ. 87 კ., სათამაშო ქაღალდის, ჩაის, შაქრის და სხვ. ყიდვა—12 მ. 49 კ., ტკბილი სასმელები და საჭმელი—17 მ., მუზიკას—10 მ., პარიკმახერს—8 მ., პოლიციელებს, სალდათებს, მოსამსახურეებს—10 მ., ბილეთების დაბეჭდვა—3 მ., სხვა წვრილმანი ხარჯი—4 მ. 50 კ., სულ—106 მ., 86 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა—165 მ. 24 კ., თელავის ზავედენიის მმართველნი დიდს მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც ამ სპექტაკლის გამართვაში მონაწილეობა მიიღო და ნამეტნავად შემდეგ პირთ: ქ. ქ. ო. ფ. პოპოვისას, ს. ა. მარჯანოვისას და ე. მ. გროსმანისას, ბ. ბ. ა. ა. გრიშინს, ნ. მ. ჯორჯაძეს, ი. ზ, ანდრონიკოვს, ნ. მ. პოპოვს, ვ. ვ. ბელსკის, მ. ა. ვეტოშნიკოვს, ა. ა. ტამილოვს და მ. დ. ცისკაროვს.

მმართველობის წევრი

ეკატერინა ბელოვისა

## დეპეშა

5 ივნისი

**პეტერბურგი.** ხოლერის დროს სამდინარო ნაოსნობის სასანიტრო ზედამხედველობის კანონთა დამატებად შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიწყნარა 3 ივნისს სამკურნალო საბჭოს მიერ შემუშავებული ინსტრუქციები შესახებ მუშათა სადგომებისა ნავთსადგურებში, სასანიტრო სამკურნალო ადგილებისა დიდს ნავთსადგურებში, ინსტრუქციები ფერშლებისათვის და აფთიაქებისათვის სამკურნალო სადგომებიდგან დაშორებულს ადგილებში და აგრეთვე ინსტრუქციები ხოლერით გარდაცვალებულთა დამარხვის შესახებ.

გამოცხადებულ იქმნა დარიგება სამკურნალო დეპარტამენტისა დეზინფექციის შესახებ იმ საქონლისა, რომელიც გამოტარებული იქნება კარანტინებზე.

**კონტრექსევილი.** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე კვირას კელნზე პეტერბურგში გაემგზავრება.

**ბელგრადი.** რეგენტი პროტიჩი გარდაიცვალა. მისი მოადგილე არჩეულ იქმნება სკუპშჩინის მიერ ნოემბერში მორიგ სესსიის დროს.

6 ივნისი.

**კოპენჰაგენი.** შვეციის მეფე სტოკჰოლმში წაბრძანდა; საბერძნეთის დედოფალი და მემკვიდრე ცესარევიჩი $6^3/_4$ საათზედ წაბრძანდნენ კლავპენბორგიდგან გემით „ცარევნა“-თი. გააცილეს მეფის გვარეულობამ და უავგუსტოესმა სტუმრებმა.

**პერნოვი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე დღეს ფელინში მობრძანდა; დიდი მთავრინა მარიამი პავლეს ასული გუშინ საღამოს გემით „აზია“-თი პეტერბურგს წაბრძანდა.

**ბერლინი.** „Pettermans Mitthejlungen“-ი იუწყება, დეპეშებით შევიტყვეთ, რომ ემინ-ფაშა მშვიდობიანად მივიდა ბუკობაში.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,64 | 7,67 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $153^1/_2$ | 152 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,10 | —,, | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | $241^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | $221^1/_2$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | $193^1/_2$ | —,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | —,, | —,, | $102^1/_2$ |
| 5% . . . . . . | —,, | —,, | $99^1/_2$ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | —,, | $102^1/_2$ | —,, |
| 5% . . . . . | —,, | $99^1/_2$ | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | —,, | $98^1/_2$ |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

#### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისაით.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## განცხადებანი

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5

2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5

3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5

4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80

5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50

6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30

7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლე- (7—74—5)


წ ა რ მ ო ე ბ ა

ასფალტის სამუშაოთა.

ისყიდება

**ასფალტი და გუდრონი**

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს; ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.

(15—5)

**მაღაზია სარპინკებისა**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი აღაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—24)


„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

## ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

(10—0—8)


**ახალი სტამბა**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „**ივერიის**“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**